



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ირანის ისლამური რესპუბლიკა  
პოლიტიკური ტურბულენტობის ახალი ეტაპის დასაწყისი

ლევან ასათიანი

91

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ლევან ასათიანი**

**ირანის ისლამური რესპუბლიკა  
პოლიტიკური ტურგულენტობის ახალი ეტაპის დასაწყისი**

**91**

**2017**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

ირანის ისლამური რესპუბლიკის წლევანდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, წინა 2013 წლის არჩევნებთან შედარებით, როცა პრეზიდენტ რუჰანის სერიოზული ოპონენტი ჰყავდა ქალაქ თეირანის მოქმედი მერის, ირანის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, კონსერვატორი პოლიტიკოსის მოჰამედ ბაყერ ყალიბაფის სახით,<sup>1</sup> შედარებით მშვიდ შიდაპოლიტიკურ ფონზე ჩაიარა.

2017 წლის მაისის არჩევნებისათვის ე.წ. „კონსერვატორების“ საპრეზიდენტო კანდიდატი და რუჰანის მთავარი კონკურენტი იყო ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერის, აიათოლა ალი ხამენეის მხრიდან წარდგენილი ქვეყნის ყოფილი გენერალური პროკურორი, „იმამ რეზას ფონდის“ ხელმძღვანელი ებრაჰიმ რაისი. თუმცა ქვეყნის სულიერი ლიდერის მხარდაჭრა საკმარისი არ აღმოჩნდა არჩევნებში გამარჯვებისათვის - რაისის არც პოლიტიკური გამოცდილება ეყო და არც ქარიზმა აღმოაჩნდა.

პრეზიდენტ რუჰანის და მის გუნდს (ე.წ. რეფორმისტებს) საარჩევნო მარათონში დიდი უპირეტესობა ჰქონდათ - მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, მათ შორის, დიდი ქალაქების მაცხოვრებელთა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რაც დაკავშირებული იყო ბირთვულ საკითხებზე დასავლეთთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული ისტორიული შეთანხმების, ეკონომიკური სანქციების მოხსნისა და საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლის პერსპექტივებთან.

გასათვალისწინებელია ირანის შიდაპოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გარემოებაც - ირანის ყველა წინა პრეზიდენტი, როგორც სასულიერო, ისე საერო პირი (მაჰმუდ აჰმადინეჟადი - ერთადერთი საერო პირი არჩეულ პრეზიდენტებს შორის) ირანის ისლამური კონსტიტუციით გათვალისწინებული მაქსიმალური -გადაბმულად ორ-ორი ვადით იყო არჩეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყანაში ატარებს შინაგან საქმეთა სამინისტრო (რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღო), რაც ზრდის მოქმედი რეჟიმის მიერ ადგილებზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობას.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ირანში რთულად პროგნოზირებადი არ ყოფილა. შედეგებიც შესაბამისი აღმოჩნდა - წინა, 2013 წელთან შედარებით, როცა არჩევნებში ჰასან რუჰანიმ ხმების ნახევარზე ოდნავ მეტი (50.7%) მიიღო, 2017 წლის მაისის არჩევნების პირველივე ტურში მისი გამარჯვება უფრო შთამბეჭდავი იყო (57%).<sup>2,3</sup> საპრეზიდენტო არჩევნებს შორის პერიოდში პოლიტიკურმა ბრძოლამ კონსერვატორებსა და პრაგმატიკოსებს შორის ახალი განზომილებები შეიძენა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ 2016 წლის თებერვალში ერთდროულად ჩატარდა მეჯლისის (ირანული პარლამენტის) და „ექსპერტთა საბჭოს“ - ქვეყნის ლიდერის არჩევის ფუნქციის მქონე ძალზე გავლენიანი ორგანოს - არჩევნები. ეს საკმაოდ დამაბული საარჩევნო ციკლი მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა გამხდარიყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბოლო წლებში ირანული პოლიტიკური სპექტრის ტრადიციულმა დაყოფამ „კონსერვატორებად“ და „რეფორმისტებად“ გარკვეული „მუტაცია“ განიცადა. კონსერვატორების ფრთა გაიყო ორ - მკაცრი ხაზის მიმდევრებისა და პრაგმატიკოსების („პრინციპიალისტა“) - ბანაკად, ხოლო ე.წ. რეფორმისტების ნაწილი იდეოლოგიურად პრაგმატიკოსებისკენ გადაიხარა. შედეგად, 2016 წელს ერთ საარჩევნო ციკლად ჩატარებული პარლამენტისა და „ექსპერტთა საბჭოს“ არჩევნების შედეგმა გვაჩვენა, რომ ირანულ ისტებლიშმენტში მყიფე წონასწორობა არ დარღვეულა.

წლევანდელ არჩევნებში გამარჯვებული ჰასან რუჰანი და მის გუნდი კიდევ ერთი 4-წლიანი ციკლის განმავლობაში იქნებიან ქვეყნის სათავეში და ძველი დაპირებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ბევრად უფრო პრობლემური იქნება ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, პრაგმატიკოს/რეფორმისტების ფრთას ძალზე გაუჭირდება მოსახლეობის მხარდაჭერის შენარჩუნება.

პრეზიდენტ რუჰანის ინაუგურაციაზე დასასწრებად წელს ირანელები მთელი მსოფლიოდან ელოდებოდნენ უპრეცედენტო რაოდენობის დელეგაციებს. 2017 წლის შაბათი, 5 აგვისტო, ქვეყანაში უქმედ გამოცხადდა. პრეზიდენტ რუჰანის

ინაუგურაციაში მონაწილე უცხოური დელეგაციების დონე და შემადგენლობა, ირანელი ოფიციალური პირების განცხადებით, ირანის ისლამური რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟის ნათელი ინდიკატორია.<sup>4</sup>

რაც შეეხება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს, ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამერიკელი ხალხი ზედიზედ მესამედ დაუჭერდა მხარს დემოკრატიული პარტიის კანდიდატს. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო ბატალიები ამერიკაში ირანთან შედარებით უფრო არაპროგნოზირებადი გამოდგა და საკმაოდ დრამატულად წარიმართა.

ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო, მოახერხებდა თუ არა რესპუბლიკელების კანდიდატი, მილიარდერი ტრამპი დემოკრატიული ფრთის წარმომადგენლის - ჰილარი კლინტონის დამარცხებას, რომლის პირველი ლედობისა თუ წინა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება და ობამას კაბინეტში წლების განმავლობაში სახელმწიფო მდივნობის დროს დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალი, წესით, საკმარისი უნდა ყოფილიყო საარჩევნო კამპანიის წარმატებით დასრულებისათვის. ამიტომ იყო, რომ ტრამპის გამარჯვება ბევრისთვის, როგორც ამერიკაში, ისე საზღვარგარეთ, მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა.

არჩევნებს დრამატულობა კი ფაქტობრივად საარჩევნო კომპანიაში დემოკრატების კანდიდატის - ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბის მონაცემთა ბაზაში რუსი ჰაკერების კიბერშელწევის გამოაშკარავებამ შესძინა. რუსეთმა დემოკრატიული პარტიის საარჩევნო მონაცემთა ბაზის დაუცველობით სათუო გახდა ამერიკული საარჩევნო სისტემის გამართულობა.

პრეზიდენტმა ტრამპმა და მისმა საგარეო გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ძირეულად შეცვალეს ამერიკის მიდგომები ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან და, შესაბამისად, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ პრეზიდენტ ობამას ყველაზე შთამბეჭდავ საგარეო-პოლიტიკურ მიღწევად სწორედ 2015 წელს ირანთან ბირთვულ საკითხზე მიღწეული შეთანხმება მიიჩნეოდა.<sup>5</sup>

იმის მაგივრად, რომ ამერიკის ახალ ადმინისტრაციას ამ შეთანხმებაზე დაყრდნობით გაეგრძელებინა თავისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკა, ტრამპმა რეგიონში თავის დასაყრდენად თეირანის ძველი გეოპოლიტიკური მეტოქე, ისლამის უკიდურესად რეაქციული, ვაჰაბიტური იდეოლოგიის გამავრცელებელი ქვეყანა - საუდის არაბეთი აირჩია. ამის დადასტურება იყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ქვეყნის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში და ტრამპის მიერ სპარსეთის ყურის ქვეყნების ლიდერებთან გაკეთებული განცხადებები.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, როცა ძირითადი პოლიტიკური მოთამაშები რეგიონში, მათ შორის შიიტური ირანიც, თანხმდებიან იმაზე, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ (რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აკონტროლებდა ერაყისა და სირიის ტერიტორიების დიდ ნაწილს, მათ შორის ქ. მოსულს და ქ. რაქიას) უნდა განადგურდეს. „ისლამური სახელმწიფოს“ გარდაუვალი დამარცხება აჩენს კითხვას: რეალურად ვინ გააკონტროლებს ამ ტერიტორიებს - სუნიტების კოალიცია საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით თუ შიიტური ირანი? გარდა იმისა, რომ აშშ და რუსეთი (ამ უკანასკნელის რეგიონში გამოჩენა ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს „გაფორმდა“) ამ დაპირისპირებაში მოწინააღმდეგე მხარეებს უჭერენ მხარს, რეგიონში თურქეთის განსხვავებული, სასიცოცხლო ინტერესებიც იკვეთება. ყველა ამ მოთამაშის მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ინტერესები იმდენად არის ერთმანეთთან გადახლართული, რომ რეგიონი რეალურად შეიძლება აღმოჩნდეს ხანგრძლივ პოლიტიკურ ქაოსში.

ირანის ჩარევა სირიის სამოქალაქო ომსა და შემდგომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კონფლიქტში, რაც ბაშარ ასადის ალავიტური რეჟიმის მხარდასაჭერად ლიბანური „ჰეზბოლასა“ და შიიტური მილიციის ნაწილების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობით გამოიხატა, ნაწილობრივ რუსეთის ინტერესებსაც დაემთხვა.

თეირანის ასეთი ქმედებები და, განსაკუთრებით, ბალისტიკური რაკეტების გახშირებული და დემონსტრაციული გამოცდა აშშ-მ ისლამური რესპუბლიკის მიერ „ბირთვული

შეთანხმების“ დარღვევად აღიქვა. ამან საფუძველი შეუქმნა დღევანდელ ადმინისტრაციას ახალი სანქციები შემოელო ისლამური სახელმწიფოსთვის. აშშ-ის სენატის მიერ რუსეთის, ირანის და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ მომზადებულ კანონს პრეზიდენტმა ტრამპმა არცთუ დიდი ენთუზიაზმით (უფრო რუსეთის გამო) უკვე მოაწერა ხელი.

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ რუჰანის ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ მოუწია სერიოზული კრიტიკის მოსმენა ქვეყნის სულიერი ლიდერის - აიათოლა ხამენეის მხრიდან მისი „ზედმეტად ვესტერნიზაციის“ გამო.

ღია პოლემიკის დროს კონსერვატორთა ფრთის ყველაზე სერიოზულ დასაყრდენს - „რევოლუციის გუშაგთა კორპუსს“ - რუჰანიმ ალტერნატიული „შეიარაღებული მთავრობა“ უწოდა. ხაზგასასმელია, რომ „გუშაგთა კორპუსი“ უშუალოდ არის ჩართული რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში და მხოლოდ სულიერ ლიდერს, ხამენეის, ექვემდებარება.

ირანის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანას, რაც რეფორმისტთა გუნდმა პრეზიდენტ რუჰანისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ზარიფის ძალისხმევით მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს დასავლეთთან ბირთვულ საკითხებზე შეთანხმებით ნაწილობრივ შეძლო, წინ დიდი გამოცდა ელის.

რეფორმისტთა მცდელობებს დასავლეთთან ეკონომიკური თანამშრომლობით მიეღწიათ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების მოგვარებისთვის, აშშ-ის მხრიდან ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესება სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სავარაუდოდ, ეს აისახება ქვეყნის როგორც სამინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და შეიძლება ირანს ამერიკული სანქციების მქონე სხვა ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ უბიძგოს.



## შენიშვნები

1. მოჰამედ ბაყერ ყალიბაფი 2017 წლის სარჩევნო კამპანიაშიც ჩაერთო, თუმცა შემდეგ რაისის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა.
2. 2005 წლის არჩევნების დროს მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო, სადაც ორ კანდიდატს - მძიმეწონიან პოლიტიკოსს, ყოფილ პრეზიდენტ რაფსანჯანისა და ქ. თეირანის მოქმედ მერს, კონსერვატორ მაჰმუდ აჰმადინეჟადს შორის, საკმაოდ მოულოდნელად ამ მეორემ გაიმარჯვა. ეს განპირობებული იყო როგორც სულიერი ლიდერის ღია მხარდაჭერით, ისე პოლიტიკაზე გულაცრუებულ ახალგაზრდა ამომრჩეველთა პასიურობით. ირანელებში ამ შემთხვევამ არჩევნების მეორე ტურის არაპროგნოზირებადობის განცდა გააჩინა, რაც შესაძლებელია წლებანდელ არჩევნებზე მოსახლეობის მეტი აქტიურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი იყო.
3. თუმცა არჩევნებში გამარჯვება მაინც წააშწარეს რუჰანის - ივლისის თვეში, ინაუგურაციამდე რამდენიმე კვირით ადრე, სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწეობის დროს შესაძლო ფინანსური დარღვევების მოტივით დააპატიმრეს პრეზიდენტის ყოფილი სპეცწარმომადგენელი ირანის ზირთვეულ პროგრამაში, მისი ძმა ხუსეინ ფერეიდუნი.
4. ინაუგურაციას დაესწრო 90-ზე მეტი ქვეყნის დელეგაცია. მათ შორის, მეზობელი ერაყის, ავღანეთის, სომხეთისა და ზიმბაბვეს, მოლდოვის, უგანდის, ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტები, ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარი მოგერინი, რუსეთის ვიცე-პრემიერი როგოზინი, მრავალი (ძირითადად „მიუმხრობელი ქვეყნების“ კოალიციიდან) ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები და საგარეო საქმეთა მინისტრები თუ მოადგილეები.
5. 2009 წლის ობამას გამოსვლიდან კაიროს უნივერსიტეტში:
  - *„ირანი დიდი ხნის მანძილზე იყო ამერიკის მოწინააღმდეგე. ამაში ამერიკის ბრალოც არის – ჩვენ ხელი შევუწყეთ გასული საუკუნის 50-იან წლებში ირანში დემოკრატიულად არჩეული მთავრობის გადაგდებას“.*
  - *„ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანმა ძალადობრივ აქტებს მიმართა ამერიკელების წინააღმდეგ“.*
  - *„ეს ყველასთვის ცნობილი ისტორიაა. ნაცვლად წარსულში დარჩენისა, საჭიროა უცქერდე მომავალს. ბევრი საკითხი გვექნება ირანთან განსახილველი. ჩვენ მზად ვართ წინ ვიართ ირანთან ურთიერთობებში“.*